პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 87 (997) | ოთხშაბათი, 24 ოქტომბერი, | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა მძლეოსნები ოლიმპიური თამაშების წინ



## 2 მეტრი და 10 სანტიმეტრი

სასიხარულო ცნობა მოვიდა ტაშკენტიდან, სადაც მელბურნის ოლიმპიური თამაშებისათვის ვაცხოველებით ემზადებიან ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მძლეოსნები. აქ ერთ-ერთ შერჩევით შეჯიბრებაზე სსრ კავშირის რეკორდსმენმა სიმაღლეზე ხტომაში იგორ კოშკაროვმა, გადალახა რა 210 სანტიმეტრი სიმაღლე, ერთი სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე საკავშირო რეკორდი. აღსანიშნავია, რომ 1955 წლამდე ჩვენთან არ მოიძებნებოდა სპორტსმენი, რომელსაც შეძლო 2-მეტრიანი სიმაღლის დაძლევა. გასული წლიდან ეს ზღვარი აიღო ხუთმა სპორტსმენმა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო იერიში სსრ კავშირის ახალი რეკორდების დასამყარებლად. თავი გამოიჩინა მოსკოველმა ი. კოშკაროვმა, რომელმაც ჯერ უკრაინელ სიტკინს ჩამოართვა საკავშირო მიღწევა, აჩვენა 206 სმ. შემდეგ ეს შედეგი სამჯერ გააუმჯობესა და რეკორდი აიყვანა 210 სანტიმეტრამდე.

ამ შესანიშნავი შედეგის მოპოვებით ი. კოშკაროვი მტკიცედ დამკვიდრდა მსოფლიოს სიმაღლეზე მხტომელთა სამეულში. მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში ცხარე ბრძოლა გაჩაღდება ჩემპიონის ოქროს მედლისათვის, რომლის მოპოვების უდიდეს შესაძლებლობა აქვთ ამერიკელებს დიუმასს, შელტონს, შვედ ნილსონს, საბჭოთა სპორტსმენს ი. კოშკაროვს და სხვებს.

ამავე შეჯიბრებაზე წარმატება ხვდა წილად მოსკოველ ფედოსოვს, რომელმაც 2 სანტიმეტრით გააუმჯობესა ცოტა ხნის წინათ დამყარებული საკავშირო რეკორდი სიგრძეზე ხტომაში. ფედოსეევის მიღწევა უდრის 7 მეტრსა და 76 სანტიმეტრს.

საინტერესო ბრძოლა გაიმართა ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში. პირველ ადგილს ერთმანეთს ეცილებოდნენ ლენინგრადელი გ. ვინოგრადოვა-პოპოვა და თბილისელი ნ. დვალიშვილი. ორთაბრძოლა დამთავრდა ნ. დვალიშვილის გამარჯვებით, რომელმაც აჩვენა 6 მეტრი და 15 სმ. მეორე ადგილი წილად ხვდა ლენინგრადელ სპორტსმენს.

• • •

სურათზე: ი. კოშკაროვი ხტომის დროს.

## მ. კრივონოსოვი იბრუნებს რეკორდს

ტაშკენტში მოწყობილ უძლიერეს მძლეოსანთა შეჯიბრების უკანასკნელ დღეს შესანიშნავი წარმატება მოიპოვა ბელორუსიელმა სპორტსმენმა მიხეილ კრივონოსოვმა. მის მიერ პირველსავე ცდაზე ნატყორცნი ურო დაეცა 66 მეტრსა და 86 სანტიმეტრზე. ამერიკელი კონოლის ამას წინათ დამყარებული მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესებულ იქნა 15 სანტიმეტრით.

ფინალურ შეჯიბრებაში მ. კრივონოსოვმა კვლავ გააუმჯობესა ეს შედეგი, აჩვენა რა 67 მეტრი და 32 სანტიმეტრი.

## „რევოლუცია შუბის ტყორცნაში"

ამას წინათ ბასკმა ფელიქს ერაუსკინმა დაამყარა ესპანეთის ახალი რეკორდი შუბის ტყორცნაში — 74,32 მ. უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე ერაუსკინი ვერასდროს ვერ ტყორცნიდა შუბს 60 მეტრზე შორს. მაგრამ ამ დღეებში ბილბაოს მახლობლად ქალაქ ზოლაში მან შუბი გადააგდო 83,40 მეტრზე, ბასკს პოლონელ სიდლოს მსოფლიო რეკორდამდე დააკლდა 26 სმ.

ერაუსკინი შუბს ტყორცნის ახლებური მეთოდით. წრეში ბრუნით — ისე, როგორც უროსი და ბადროს მტყორცნელები. ამან დიდი განგაში გამოიწვია სპორტულ საზოგადოებრიობაში. საზღვარგარეთის პრესა ამ სიახლეს „შუბის ტყორცნაში რევოლუციას" უწოდებს. ერაუსკინის აზრით ისეთი ძლიერი სპორტსმენები, როგორებიც არიან სიდლო, დანიელსონი და სხვები, მიაღწევენ ფანტასტიკურ შედეგს შუბის ტყორცნაში და გადალახავენ 100-მეტრიან ზღვარს თუ... ტყორცნის ეს ხერხი აღიარებულ იქნება კანონიერად.

**მ**იმდინარე წლის სპორტული სეზონი დიდხანს დაამახსოვრდება ჩვენი ქვეყნის სპორტსმენების, სპორტის მოყვარულთა მრავალათასიან არმიას. 1956 წელი მართლაც ყველაზე უფრო მდიდარი იყო სპორტული შეჯიბრებებით — წარმატებით ჩატარდა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა, გაიმართა ბევრი საერთაშორისო შეხვედრა სპორტის მთელ რიგ სახეობაში. ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენებმა დაამყარეს საკავშირო და მსოფლიო რეკორდები. მალე საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლები გაემგზავრებიან ავსტრალიის ქალაქ მელბურნში, რათა მონაწილეობა მიიღონ XVI ოლიმპიურ თამაშებში.

რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციებისათვის, სპორტსმენებისათვის, სპორტის მოყვარულთათვის არა ნაკლებ საინტერესო იქნება ზამთრის სპორტული სეზონი. ბაკურიანში და სხვა მთიან რაიონებში უკვე მოვიდა პირველი თოვლი. სათხილამურო ბილიკებზე გამოვიდნენ სპორტის ამ სახეობის მოყვარულები. თავიანთი მუშაობა გამოაცოცხლეს სათხილამურო სექციებმა. ზამთრის სპორტულ სეზონში მოეწყობა —საუწყებათაშორისო, საქალაქო და რესპუბლიკური ღონისძიებები. საქართველოს, უკრაინის, ბელორუსიისა და სომხეთის სპორტსმენები უკრაინაში ერთმანეთს შეხვდებიან სათხილამურო სპორტის ყველა სახეობაში.

სათხილამურო სპორტს ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ხნის ისტორია როდი აქვს, მაგრამ იგი საყოველთაო პოპულარობით სარგებლობს საქართველოს ახალგაზრდობაში. ეს გასაგებიცაა. თხილამურებით რბენა, ხტომა ხელს უწყობს გამბედაობის, გამძლეობის, მოქნილობისა და სხვა ძვირფასი ჩვევის გამომუშავებას, ამიტომაა, რომ, რაც დრო გადის, მით უფრო ბევრი მოყვარული მოდის სათხილამურო სპორტის სექციებში, გამოცდილ სპორტსმენებთან მხარდამხარ ისინი იბრძვიან მაღალი სპორტტექნიკური მაჩვენებლების მოპოვებისათვის.

რესპუბლიკაში სათხილამურო სპორტისადმი სიყვარული საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ავალებთ კიდევ უფრო მეტი გააკეთონ სპორტის ამ სახეობის პროპაგანდის, სპორტულ სექციებში რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდობის ჩაბმისათვის. მაგრამ ბევრი ფიზკულტურული ორგანიზაცია წლების განმავლობაში სპორტის ამ სახეობას მეორეხარისხოვან საქმედ თვლის. მათ სათხილამურო სპორტი მაშინ გაახსენდებათ, როცა შეჯიბრება კარზე მოადგებათ, გამოცოცხლდებიან, შეაკოწიწებენ გუნდს და ასე მონაწილეობენ შეჯიბრებებში.



რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონში ხელსაყრელი კლიმატური პირობები, შესანიშნავი ადგილმდებარეობა მაქსიმალურად გამოყენებული არაა. როცა სპორტის ამ სახეობაზე ვლაპარაკობთ, ძალაუნებურად გაგვახსენდება ბაკურიანი, რადგან მხოლოდ და მხოლოდ აქ ტარდება საინტერესო შეჯიბრებები. ბაკურიანში იკრიბებიან უძლიერესი სპორტსმენები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან, მოყვარულები. რასაკვირველია, ბაკურიანმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი თავისი შეუდარებელი ბუნებრივი პირობებით, მაგრამ განა რესპუბლიკაში არ არის სხვა ადგილი, რომ მოეწყოს სათხილამურო ბაზა? არის, მაგრამ საჭიროა საქმისადმი სიყვარული. ჩვენ თითქმის ყოველწლიურად ვაყენებთ საკითხს მესტიაში, ახალქალაქში, ონში, დუშეთში სათხილამურო ბაზების მოწყობის შესახებ. ამ საკითხის დასმა იმითაა გამართლებული, რომ ზემოდასახელებულ რაიონებში ამის შესაძლებლობა არის. ამასთან აქ ბევრია ნიჭიერი ახალგაზრდა, რომლებთანაც სისტემატური მუშაობით რესპუბლიკას ეყოლება მაღალტექნიკური სპორტსმენები. მაგალითისათვის ერთი ფაქტი საკმარისია. რესპუბლიკურ შეჯიბრებებში საპრიზო ადგილებზე გამოდიან მესტიელი სპორტსმენები. მათ რომ საკუთარ ბაზაზე სისტემატური მეცადინეობის საშუალება ჰქონდეთ, რასაკვირველია, მეტ წარმატებებსაც მოიპოვებენ. იგივე ითქმის სხვა რაიონების ახალგაზრდებზეც. მაგალითად, რატომ არ შეიძლება სათხილამურო ტრამპლინის მოწყობა წყნეთში, რომელიც თბილისიდან რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული? დედაქალაქის რამდენი სპორტის მოყვარული დაესწრებოდა აქ მოწყობილ შეჯიბრებას.

## განვავითაროთ სათხილამურო სპორტი

ჩვენ აქ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მოთხილამურის სრულწლიურ წვრთნაზე. რესპუბლიკაში ასობით ახალგაზრდა ეუფლება სათხილამურო სპორტს. მაგრამ წარმატებისათვის საჭიროა სისტემატური ვარჯიში. ჩვენში კი ასე არ ხდება. დამთავრდება სათხილამურო სეზონი და სპორტული სექციებიც შეწყვეტენ საქმიანობას. იმას არავინ აქცევს ყურადღებას, რომ მოთხილამურეები მთელი წლის განმავლობაში ვარჯიშობდნენ, მონაწილეობდნენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში მოწყობილ შეჯიბრებებში. მაგალითისათვის ავიღოთ ბაკურიანი. აქ დიდი რაოდენობითაა ძლიერი სპორტსმენები, მაგრამ ახლა კ. წაქაძისა და პ. გავას გარდა, რომლებიც სისტემატურად ვარჯიშობენ, ყველა თოვლის მოსვლას ელოდებოდა.

ახალგაზრდობაში სათხილამურო სპორტის ფართოდ დანერგვის, მისი შემდგომი პოპულარიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მაღალ დონეზე მოწყობილ შეჯიბრებას. გასული წლის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ზოგიერთი ფიზკულტურული ორგანიზაცია შეჯიბრების ჩატარებას მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით უყურებს, იმას კი არ დაეძებს, რომ ცუდად მოწყობილი შეჯიბრება ხალისს უკარგავს მონაწილეს, მაყურებელს. საჭიროა შეჯიბრების მიმდინარეობისას სპორტსმენებს შევუქმნათ ყველა პირობა, რათა მათ სრულად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობა, წავახალისოთ ისინი, რომ დიდხანს დაამახსოვრდეთ შეჯიბრების დღეები.

გასულ წელს ბაკურიანს დიდძალი ახალგაზრდობა მოაწყდა. ბევრ მათგანს გულით სურდა დაეუფლებოდა სათხილამურო სპორტს, მაგრამ უმრავლესობა აქ იმიტომ ჩამოვიდა, რომ უბრალოდ დრო „მოეკლა", ვარჯიშის ნაცვლად ეხეტიალა, დღეები უსაქმურობაში გაეტარებინა. მომავალ სეზონში ასეთი რამ არ უნდა გამეორდეს. იქ ჩასული ყოველი უსაქმურისა და დეზორგანიზატორის წინაალმდეგ უნდა მივიღოთ გადამჭრელი ზომები.

სიხხლსავსე გავხადოთ მოთხილამურეთა სექციების საქმიანობა, აღვზარდოთ ნიჭიერი სლალომისტები, მხტომელები, მაღალკვალიფიციური მწვრთნელები, მსაჯები. ყურადღება მივაქციოთ სპორტული ბაზების მოწყობას რესპუბლიკის მაღალმთიან რაიონებში. ყველაფერი ეს იმის წინაპირობა იქნება, რომ წარმატებით გამოვალთ საკავშირო მასშტაბის შეჯიბრებებში, ხელს შევუწყობთ საქართველოში სათხილამურო სპორტის განვითარების საქმეს.

## დ ი დ ი   ტ უ რ ნ ი რ ი

VIII ტურით დაიწყო შეჯიბრების მეორე ნახევარი. ბოტვინიკმა, რომელიც შავებით ეთამაშებოდა გერმანელ გროსმაისტერ უნციკერს, გაითამაშა ძველინდური დაცვის ვარიანტი. შემდეგში ჩემპიონმა უარი თქვა როქზე, გაცვალა ლაზიერები და რამდენიმე შევიწროვებული, მაგრამ მტკიცე პოზიცია მიიღო. თამაში კვლავ დაძაბულ ხასიათს ატარებდა. უნციკერი დიდი მონდომებით თამაშობდა და მრავალრიცხოვანი გაცვლების შემდეგ ყაიმს მიაღწია. პახმან-სმისლოვის პარტიაში შავებით მოთამაშე საბჭოთა გროსმაისტერმა სწრაფად იგდო ხელთ ინიციატივა და დაიწყო იერიში ლაზიერის ფრთაზე. უნდა აღინიშნოს, რომ უარეს პოზიციაში პახმანი თავს დიდი შეუპოვრობით იცავდა და მიაღწია ყაიმს. ბრონშტეინმა დასაწყისშივე უპირატესობა მიიღო გოლომბეკთან. შემდეგში მან განავითარა ძლიერი იერიში და 35-ე სვლაზე აიძულა ინგლისელი ოსტატი წინააღმდეგობა შეეწყვიტა. 37-ე სვლაზე არგენტინელმა ნაიდორფმა ძლია ულმანს. ყაიმით დამთავრდა პადევსკი-კერესის და ტაიმანოვ-გლიგორიჩის პარტიები. სლივა-შტალბერგის და საბო-ჩოკილტიას პარტიები გადაიდო შავებისათვის უკეთეს პოზიციაში.

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს გათამაშდა ბოტვინიკ-ბრონშტეინისა და ტაიმანოვ-სლივას გამოტოვებული პარტიები. პირველი შეხვედრა წყნარი თამაშის შემდეგ დასრულდა ყაიმით. მეორე პარტიაში ტაიმანოვი დიდი ალმავლობით თამაშობდა. მან მთელი თავის ძალებს თავი მოუყარა ბრძოლის გადამწყვეტ უბანზე, ხოლო შემდეგ ლაზიერის ეფექტური შეწირვა განახორციელა. სლივას მდგომარეობა უიმედო გახდა და მან შეწყვიტა წინააღმდეგობა. მოსაგებ პოზიციაში ჩოკილტიამ არაზუსტად ითამაშა და საბომ მიაღწია ყაიმს. უნციკერმა თამაშის ვარიახლებლად თავი დამარცხებულად ცნო გლიგორიჩთან გადადებულ პარტიაში. პადევსკიმ დაამარცხა ულმანი.

ამგვარად, 8 ტურის შემდეგ შეჯიბრების მონაწილეთა მდგომარეობა ასეთია: პირველ და მეორე ადგილებს იყოფენ საბჭოთა გროსმაისტერები ტაიმანოვი და სმისლოვი, რომელთაც 6-6 ქულა აქვთ. ბოტვინიკმა მოაგროვა 5 ქულა 7-დან. ამასთან ერთად მას ერთი უკეთეს პოზიციაში გადადებული პარტია აქვს.

# მწვრთნელის დღიურებიდან



შემდეგი თამაში პლოვდივში გვაქვს. 8 ოქტომბერს დილის 10 საათზე ავტობუსით გავემგზავრეთ პლოვდივისაკენ. იგი თბილისივით მთაგორიან ადგილზეა გაშენებული. ისეთი ადგილებიც ვნახეთ, როგორიც ჩვენი მეტეხი და მის გაგრძელებაზე გაშენებული სახლებია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ მდინარე არ ჩაუდის კლდეს.

სადაც კი ვყოფილვართ საზღვარგარეთ, ადგილობრივი მოსახლეობისგან ყველგან გამოვირჩეოდით იერით, ფერ-ხორცით, სახის მოყვანილობით, მაგრამ ბულგარეთში ეს სრულებით არ იყო შესამჩნევი. ბულგარელები ჩვენს ხალხს ძალიან გვანან კანის ფერით, სახის მოყვანილობით და სიარულითაც კი. აზერბაიჯანელები, სომხები და ქართველები უფრო ადვილად გასარჩევი არიან ერთმანეთისაგან, ვიდრე ბევრი ბულგარელი და ქართველი.

5 საათზე წავედით მოედნის გასაცნობად და სავარჯიშოდ. ჩვენი ვარჯიშის დაწყება და წვიმის წამოსვლა ერთი იყო. უნდა შევნიშნო, რომ მეორე დღესაც სულ წვიმდა და მხოლოდ თამაშის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე გამოიდარა. 9 ოქტომბერს 4 საათზე (როდესაც თბილისში უკვე 6 საათია), დაიწყო ჩვენი მეორე მატჩი ბულგარელ ფეხბურთელებთან.

დღევანდელი ჩვენი მოწინააღმდეგე „სპარტაკი" იყო. წინასწარ გვითხრეს, რომ მას გააძლიერებდნენ სკია-ს გუნდის სამი მოთამაშით. ძირითადად ეს პლოვდივის ნაკრები იყო. გათამაშების ცხრილში „სპარტაკს" მეექვსე ადგილი ეკავა.

მატჩს ისევ შვეიცარიელი მსაჯი შიკერი სჯიდა. უნდა ითქვას, რომ პირველი 10 წუთის განმავლობაში ჩვენებს მოედანზე ვერ ვხედავდი, ყველგან ბულგარელი მოთამაშეები იყვნენ. ისინი სისწრაფეშიც გვჯობდნენ, ტექნიკაშიც და ტაქტიკაშიც. მარტო დაცვა იბრძოდა თავგამოდებით, მაგრამ ამით თამაშის აწყობა შეუძლებელი იყო. უყურადღებობით გამოწვეული აშვებული მოწინააღმდეგის ჩვენთვის სასურველ კალაპოტში ჩაყენება არც ისე ადვილია. პირველი ბურთი გატანილ იქნა ჩვენს კარში, რამაც უფრო გაათამამა და გამარჯვებაში დაარწმუნა მოწინააღმდეგე. რამდენიმე ხნის შემდეგ მეორედ შეირხა ჩვენი კარის ბადე.

მეორე ტაიმის პირველსავე წამებზე ჭკუასელი კარგად შეიჭრა ბულგარელთა საჯარიმო მოედნის სიღრმეში და პირითი ხაზიდან ბურთი შუაში მოაწოდა. „დინამოს" თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს ანგარიშის გათანაბრების რეალური შესაძლებლობა. კიდევ რამდენიმე შეტევა, მაგრამ შორიდან დარტყმული ბურთები მიზანს ვერ აღწევს. ყველა ცდილობს, მაგრამ შედეგი არ ჩანს. გადავწყვიტეთ მარჯვენა ფრთა გაგნიძე-ხასაია ქვლივიძე-იამანიძით შეგვეცვალა. ამან თამაშში ცოტაოდენი სიცოცხლე შეიტანა, ნელ-ნელა ინიციატივა ჩვენ ხელში გადმოდის, მაგრამ ახლა გუნდთან ერთად წინააღმდეგობას გვიწევს მსაჯი შიკერიც. ყოველი საშიში თავდასხმა მისი სასტვენით ჩერდება. ერთ-ერთი შეტევის დროს ღოღობერიძე მშვენივრად შეიჭრა სპარტაკელთა საჯარიმოში, ლამაზად მოატყუა მცველები და ბურთიანად შევიდა კარში — 1:2. თამაშის დამთავრებამდე კიდევ 8 წუთი იყო დარჩენილი, მაგრამ ანგარიშის შეცვლა შეუძლებელი შეიქნა.

საღამოს პლოვდივის სპორტულმა საზოგადოებამ ვახშამი გაგვიმართა. ერთი საათის შემდეგ ავიშალენით და მეორე დილით 9 საათზე უკვე ავტობუსით ისევ სოფიისაკენ გავემგზავრეთ. სოფიაში ჩასვლისთანავე ვინახულეთ მ. პირაევი, რომელიც ამ დღეს გამოწერეს საავადმყოფოდან და წამოვიყვანეთ სასტუმროში. ამხანაგები ეხუმრებოდნენ: „მიშა, გეყოფა დასვენება, აიღე შენი ფორმა და ვარჯიში დაიწყე".

შემდეგი უკანასკნელი თამაში დიმიტროვოში გვაქვს. ეს ქალაქი 30 კილომეტრით არის დაშორებული სოფიისაგან, ამიტომ ჩვენ ვადავწყვიტეთ დედაქალაქში დავრჩენილიყავით.

11 ოქტომბერს დიმიტროვოში გავემგზავრეთ, რათა ჩაგვეტარებინა ვარჯიში იმ მოედანზე, რომელზედაც ხვალ შეხვედრა გვექნებოდა. ვარჯიშს ბევრი მაყურებელი დაესწრო, ჩვენი მომავალი მოწინააღმდეგეც გულდასმით გვითვალთვალებდა.

ჩვენი მოწინააღმდეგე — „მინიორი" („შახტიორი") მესამე-მეოთხე ადგილისათვის იბრძოდა. სოფიის „დინამომ" უკვე მეორე ადგილი დაიკავა, მაშასადამე, თუ გათამაშების ცხრილით ვიმსჯელებდით, ეს გუნდი იყო პლოვდივის გუნდზე ძლიერი და სოფიის გუნდზე სუსტი.

ამინდი საუცხოო იყო. აქვე უნდა დავძინოთ, რომ საერთოდ ბულგარეთის გაზაფხულის, ზაფხულისა და შემოდგომის ჰავა საქართველოსას წააგავს, მხოლოდ ზამთარი კი სუსხიანი სცოდნია. ამინდთან არავითარი პრეტენზია არავის არ ჰქონდა. ამჯერად ჩვენი მოთხოვნით თამაშს ბულგარელი მსაჯი ტაკოვი სჯიდა. ჩვენი მაყურებელი იცნობს მას. გასულ წელს იგი სჯიდა თბილისის „დინამოსა" და რუმინეთის „ლოკომოტივის" შეხვედრას.

გუნდები გავიდნენ მოედანზე. ჩვენი შემადგენლობა ამჯერადაც უცვლელია. კარებში მარღანია, დაცვაში ისევ ელოშვილი, ძიაპშიპა, ხოჭოლავა, ნახევარდაცვაში კოტრიკაძე და ღოღობერიძე, თავდასხმაში ხასაია, გაგნიძე, კალოევი, ჭკუასელი და მესხი. თამაშის დაწყება და ინიციატივის ხელში აღება ერთი იყო. ჯერჯერობით ყველა ასრულებდა თავის მოვალეობას. 10 წუთის განმავლობაში „მინიორის" კარები ბევრჯერ იდგა გოლის გატანის საშიშროების წინაშე, მაგრამ მეკარისა და დამცველთა თავგამოდებული თამაში ჩვენს თავდამსხმელებს კარების აღების საშუალებას არ აძლევდა. მეთორმეტე წუთზე ისინი გადმოვიდნენ შეტევაზე და მარჯვენა მხრიდან მიუახლოვდნენ ჩვენს საჯარიმო მოედანს და გადააწოდეს ბურთი საწინააღმდეგო ფლანგზე თავისუფლად დარჩენილ გარემარბს, რომელმაც იგი ჩვენს კარებში მოათავსა — 0:1. ამ გოლმა ვერ შეარყია ჩვენი გუნდის მთლიანობა. თამაში ისევ მაღალ ტემპში მიმდინარეობდა. დინამოელები არ ჩამორჩებოდნენ მათ არც ტექნიკაში, არც სისწრაფეში და შეიძლება ითქვას, რომ ტაქტიკურად უკეთესად გამოიყურებოდნენ. მეთვრამეტე წუთზე ბურთი ხან ჩვენ კარებთან ტრიალებს და ხან „მინიორის" გუნდის კართან. აი საჯარიმო მოედნისაკენ გაიჭრნენ ფლანგებიდან ხასაია და მესხი, ცენტრალური სამეული ჭკუასელი, კალოევი და გაგნიძე. კალოევის ძლიერი დარტყმა, მეკარის მიერ უკუგდებული ბურთი მოუვიდა გაგნიძეს, უკანასკნელმა გადააწოდა კოტრიკაძეს, მან — ღოღობერიძეს. კიდევ რამდენიმე დარტყმა და ბოლოს ჭკუასელის ძლიერმა დარტყმამ შედეგს მიაღწია — ბურთი დიმიტროვოს გუნდის კარებში აღმოჩნდა. ამ ბურთის გატანის დროს შეტევა იმდენად ძლიერი იყო, რომ მასში „დინამოს" დამცველები ძიაპშიპა, ელოშვილი და ხოჭოლავაც კი მონაწილეობდნენ.

ამის შემდეგ ინიციატივა მთლიანად თბილისელთა ხელში გადმოვიდა. 23-ე წუთზე ღოღობერიძე კარგად შეიჭრა ბულგარელთა საჯარიმო მოედანში და 10 მეტრიდან დარტყმული ბურთი მოწინააღმდეგის კარის ბადეში გაეხვია — 2:1.

მეორე ტაიმში ინიციატივა 35 წუთის განმავლობაში მთლიანად ჩვენს ხელში იყო, მაგრამ ბურთის გატანა ვერა და ვერ მოვახერხეთ. ანგარიში 2:1-ზე გაიყინა. ჩვენმა თავდამსხმელებმა სამი ბურთი ცარიელ კარში ვერ შეაგდეს. ამან ცოტა შიშიც შეიტანა ჩვენს მოთამაშეებში, ასეთ დროს მოწინააღმდეგის ყოველი შეტევა ძალზე სახიფათოა. თამაშის ბოლო 10 წუთის განმავლობაში „მინიორის" ფეხბურთელები განუწყვეტლივ გვიტევდნენ, მაგრამ ანგარიში უცვლელი დარჩა.

**გ. ჯეჯელავა,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი.

• • •

**სურათზე:** ა. ჭკუასელი ბურთისათვის ბრძოლის დროს. (სურათი ამოღებულია გაზეთ „ნაროდენ სპორტიდან").

(დასასრული. იხ. „ლელო" № 86).



# გაზრდილი მოთხოვნები

## ცხენოსნობაში რესპუბლიკური ჩემპიონატის წინ

6 ნოემბერს დელისის იპოდრომზე აღიმართება ცხენოსნობაში საქართველოს მე-14 პირად-გუნდური პირველობის გახსნის ალამი. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ სოხუმის, ზუგდიდის, ცხაკაიას, გუდაუთის, ფოთის, აბაშის, ქუთაისის, ჩოხატაურის, აჭარის ასსრ და სიღნაღის ცხენოსანთა გუნდები. პირად პირველობაში რესპუბლიკის სხვა უძლიერეს მხედრებთან ერთად გამარჯვებულის სახელისათვის იბრძოლებენ დედაქალაქის ცხენოსნებიც. თბილისელ მაყურებელს თავის ოსტატობას უჩვენებს აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივი — მოძმე სომხეთის ცხენოსანთა ნაკრები გუნდი, რომელიც ამ ასპარეზობაში კონკურსგარეშე მონაწილეობს.

მომავალ რესპუბლიკურ პირველობაში მონაწილე გუნდების სიის გადათვალიერებითაც ნათელი ხდება, რომ რესპუბლიკის ბევრ რაიონში აშკარა უპასუხისმგებლობას იჩენენ საცხენოსნო სპორტის განვითარებისათვის. სპორტის ამ მიმზიდველმა სახეობამ არ იქნა და ფეხი ვერ მოიკიდა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში. მიზეზი ის არის, რომ ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტებისა და „კოლმეურნის" რაისაბჭოს მუშაკები დანაშაულებრივ გულგრილობას იჩენენ ამ მნიშვნელოვანი საქმისადმი, რის შედეგადაც ამჟამად მეტად სავალალო ფაქტის წინაშე ვდგევართ: მთელი აღმოსავლეთ საქართველოს რაიონები რესპუბლიკურ პირველობაში წარმოდგენილ იქნებიან მხოლოდ ერთი გუნდით, კერძოდ, სიღნაღის რაიონის ცხენოსანთა კოლექტივით.

წლევანდელი რესპუბლიკური ჩემპიონატი ჩვენს ცხენოსნებს ძალზე გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს. შეჯიბრების პროგრამა საგრძნობლად გართულებულია და ძირითადად მიახლოვებულია იმ პირობებსა და მოთხოვნებს, რომლებიც ცხენოსანთა წინაშე იდგა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებს. ეს გასაგებიცაა, საკავშირო მასშტაბით შეჯიბრებები ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში ტარდება და ჩვენ მარტო ისინდითა და ცხენბურთით ფონს ვერ გავალთ. ამასთან პირველობის პროგრამაში სათანადო ადგილი უკავია ცხენოსნობის ქართულ ხალხურ სახეობებს.

პირველობის ყველაზე რთული სახეობაა მრავალჭიდი, რომელიც ჩატარდება ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ დამტკიცებული პროგრამით. პირველ დღეს მხედრები ერთმანეთს შეეჯიბრებიან სამანეჟო სვლაში. მათ უნდა შეასრულონ 33 სხვადასხვა ელემენტი, რისთვისაც ეძლევათ 12 წუთი. სპორტსმენი, რომელიც სავალდებულო ქულათა 50 პროცენტზე ნაკლებს დააგროვებს, ჰკარგავს შეჯიბრების გაგრძელების უფლებას. მეორე დღეს შეჯიბრება ტარდება საველე სვლაში, რომელშიც შედის 7 კილომეტრზე მოძრაობა, [illegible] დაბრკოლებათა გადალახვით, საკონტროლო დრო, კროსი დასერილ ადგილმდებარეობაზე. მხედარმა აგრეთვე 14,4 კილომეტრი უნდა დაფაროს ერთ საათში. დაგვიანებისათვის მას ეწერება საჯარიმო ქულები. მესამე დღის პროგრამაში შედის 15 სხვადასხვა ტიპის დაბრკოლების გადალახვა. სამივე დღეს მხედარი ერთიდაიგივე ცხენით გამოდის. თვითეული გუნდიდან შეჯიბრებაში მონაწილეობს ოთხი მხედარი, ჩათვლაში შედის სამი საუკეთესო შედეგი.

საინტერესო სპორტულ სანახაობას წარმოადგენს დაბრკოლებათა გადალახვა საქართველოს თასზე. ჯილდო გათამაშდება უმაღლეს და რთულ კლასში. უმაღლეს კლასში ცხენოსანმა 2 წუთში უნდა დაფაროს 800 მეტრი 15 დაბრკოლებით, ხოლო რთულ კლასში — 600 მეტრი დაბრკოლებათა იმავე რაოდენობით. ტრასას სპორტსმენები ეცნობიან შეჯიბრების დაწყებამდე ერთი საათით ადრე. უმაღლეს კლასში მონაწილე სამი მხედრიდან ჩათვლაში შედის ორი საუკეთესო შედეგი, ხოლო რთულ კლასში მონაწილე ორი ცხენოსნიდან—ერთი საუკეთესო შედეგი. გამარჯვება მიენიჭება იმ გუნდს, რომელიც ქულათა მეტ რაოდენობას დააგროვებს უმაღლესი და რთული კლასის ჯამში.

ჩემპიონატის შემდეგი სახეობა არის ცხენის გაწვრთნა „ბ" ჯგუფის პროგრამით. პირველობა ამ სახეობაში წელს მეორედ ეწყობა. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ რაიონში ცხენოსნობის ეს სახეობა ძალზე ჩამორჩება, რადგან იგი რთულია და სისტემატურ მუშაობას მოითხოვს. გუნდური პირველობის პროგრამა შეიცავს აგრეთვე დაბრკოლებებიან დოღს 2.000 მეტრზე და დოღს 4.000 მეტრზე დაბრკოლებათა გადალახვით. ცხენოსნობის ეროვნული სახეობებიდან გუნდური პირველობები გათამაშდება ისინდში, ცხენბურთში, მარულაში და ა. შ.

ცხენოსნობა ყოველთვის იყო ვაჟკაცთა სპორტი. მაყურებელს ხიბლავს და იტაცებს ცხენთა გაწვრთნილობა, მხედართა ოსტატობა, მოხდენილობა და სიჩაუქე. ფიზკულტურული ორგანიზაციების ვალია შეჯიბრებაზე გამოგზავნონ ყოველმხრივ მომზადებული გუნდები, უაღრესი გულისხმიერებით მოეკიდონ ცხენთა შერჩევის, მხედართა მოხდენილად ჩაცმა-დახურვის საქმეს, რათა არ დაირღვეს ამ ვაჟკაცური სპორტული სანახაობის მიმზიდველი პანორამა. მაქსიმალურად გამოვიყენოთ დარჩენილი დრო და ახალი მიღწევები, მაღალი სპორტული ოსტატობა ვუჩვენოთ ჩვენს სპორტის მოყვარულებს — ასეთია ამოცანა.

**ა. ხუჭუა**

# პირველობა ლელობურთში

ჩოხატაურში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირველობა ლელობურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ჩოხატაურის, ფარცხმის, ხიდისთავის, ჩაისუბნისა და დაბლაციხის კოლმეურნეობათა გუნდები.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ჩოხატაურის პირველი მაისის სახელობისა და ფარცხმის სტალინის სახელობის კოლმეურნეობათა ლელობურთელები. შეხვედრა მოიგო ჩოხატაურის გუნდმა ანგარიშით 8:7. ფარცხმელებმა გააპროტესტეს შედეგი. განმეორებით შეხვედრაში გამარჯვებული კვლავ ჩოხატაურის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის გუნდი გამოვიდა, რომელსაც გადაეცა გარდამავალი თასი.

**გ. ახალაია**

# მასობრივი გათამაშება

თბილისის მოსწავლეთა პირველობა კალათბურთში სამ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა. უმცროსი ასაკის ვაჟებს შორის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ 1, 91, 24 და 55-ე სკოლის გუნდები. გაიმარჯვა 55-ე სკოლის გუნდმა. მეორე ადგილი 91-ე სკოლას ერგო. გოგონათა შორის ფინალამდე მიაღწიეს 47, 67, 57-ე და მე-4 სკოლის გუნდებმა. გამარჯვება წილად ხვდა 67-ე სკოლის გუნდს.

ვაჟებს შორის წინასწარ შეჯიბრებებში გამარჯვებამ ერთმანეთს შეახვედრა 9, 55, 39 და 91-ე სკოლის საკმაოდ ძლიერი გუნდები. საინტერესო ბრძოლის შედეგად გამარჯვება მე-39 სკოლის გუნდს დარჩა.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა უფროსი ასაკის მოსწავლეთა გუნდების შეხვედრები. შეჯიბრებაში მონაწილეთა დიდი რაოდენობის გამო წინასწარი მატჩები ვაჟთა შორის ჩატარდა ოთხ ზონად, გოგონათა შორის სამ ზონად. ზონებში პირველ ადგილზე გამოსული გუნდებიდან შეიქმნა ფინალური ჯგუფები.

25-ე სკოლის გუნდის უპირატესობა ფინალურ შეხვედრებშიც აშკარა გახდა. მან დაამარცხა ყველა მონაწილე და პირველი ადგილი გაინაღდა. მეორე საპრიზო ადგილი 78-ე სკოლის გუნდს ერგო.

გოგონათა შორის ცოლ გამარჯვებას მიაღწია მე-47 სკოლის საკმაოდ ძლიერმა გუნდმა, რომლის შემადგენლობაშიც გამოდიოდა რესპუბლიკის კალათბურთელთა ნაკრები გუნდის წევრი ლ. ქველიძე.

ქების ღირსია უმცროსი ასაკის მოსწავლეთა შორის გამარჯვებული 55-ე სკოლის გუნდი, რომელმაც კოლექტიური და გააზრებული თამაშით საერთო მოწონება დაიმსახურა. საშუალო ასაკის მოსწავლეთა შორის ვაჟებში გამოირჩეოდნენ 39-ე სკოლის გუნდის წევრები ჭანტურიშვილი და ბათიაშვილი, გოგონებიდან—67-ე სკოლის გუნდის მოთამაშეები წიკლაური და ხახვიაშვილი.

უფროსი ასაკის მოსწავლეთა შორის კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ვაჟებმა ჯიჯიხიამ, ბახჩოევმა და უგრელიძემ (25-ე სკოლა), ლომაძემ (24-ე სკოლა) და ი. ყანჩაველმა (64-ე სკოლა).

**ა. ბარნოვი**



ს უ რ ა თ ზ ე: ფინელი ფეხბურთელები თბილისის აეროდრომზე.

# დ ღ ე ს!

## „დინამოს“ სტადიონზე

საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში

„ვაასან პალლოსეურა“ (ფინეთი) — ოფიცერთა სახლი (თბილისი)

### ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 21 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 21 | 14 | 4 | 3 | 65:28 | 32 |
| „დინამო“ მ. | 21 | 10 | 8 | 3 | 44:24 | 28 |
| ცდსა | 21 | 10 | 5 | 6 | 40:29 | 25 |
| „დინამო“ კ. | 22 | 7 | 10 | 5 | 32:31 | 24 |
| „ტორპედო“ | 22 | 8 | 7 | 7 | 40:37 | 23 |
| „ბურევ“. | 22 | 9 | 5 | 8 | 38:49 | 23 |
| „შახტიორი“ | 22 | 7 | 7 | 8 | 30:39 | 21 |
| „დინამო“ თბ. | 22 | 8 | 4 | 10 | 42:46 | 20 |
| „ზენიტი“ | 22 | 4 | 11 | 7 | 27:43 | 19 |
| „ლოკომოტ“. | 21 | 4 | 8 | 9 | 31:27 | 16 |
| ოფ. სახლი სვ. | 22 | 6 | 4 | 12 | 31:45 | 16 |
| „შრ. რეზერვ“. | 22 | 3 | 7 | 12 | 25:47 | 13 |

* * *

**სვერდლოვსკი.** 21 ოქტომბერი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). „ავანგარდის“ სტადიონზე ადგილობრივმა ოფიცერთა სახლის გუნდმა მიიღო თბილისის „დინამო“.

დინამოელებს ძირითადი შემადგენლობიდან აკლდათ მესხი. გარდა ამისა, ჯერ კიდევ მატჩის დასაწყისში, მე-5 წუთზე სვერდლოვსკელთა მცველების უხეში თამაშის შედეგად მძიმე ტრავმა მიიღო ჭკუასელმა და „დინამო“ 85 წუთის განმავლობაში თამაშობდა 10 კაცის შემადგენლობით.

ანგარიში გახსნა არმიელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბუზუნოვმა. მალე მანვე მეორე ბურთი გაგზავნა სტუმრების კარში.

თბილისელებმა გააძლიერეს თამაში და ტაიმის დასასრულამდე ანგარიში გათანაბრებულ იქნა (პირველი გოლი თავის კარში გაიტანა მასპინძელთა ერთ-ერთმა მცველმა).

შესვენების შემდეგ იმავე ბუზუნოვმა ორჯერ წარმატებით დაამთავრა თავისი გუნდის იერიში და მატჩი დამთავრდა სვერდლოვსკის ოფიცერთა გუნდის სასარგებლოდ ანგარიშით 4:2.

* * *

9 ოქტომბერს კიშინიოვში თამაშობდნენ ადგილობრივი „ბურევესტნიკი“ და სვერდლოვსკის ოფიცერთა სახლის გუნდი. შეხვედრა დამთავრდა „ბურევესტნიკის“ სასარგებლოდ — 3:2.

ამ მატჩის მეორე ნახევარში სვერდლოვსკის ოფიცერთა სახლის გუნდის მოთამაშემ პოტასკუევმა მიიღო ტრავმა იმის გამო, რომ მოედანი სათამაშოდ არ იყო მომზადებული.

სვერდლოვსკელებმა გააპროტესტეს თამაშის შედეგი. ფეხბურთის საკავშირო სექციამ პროტესტი სამართლიანად მიიჩნია და დააკმაყოფილა იგი. სექციის დადგენილება გადაეცა ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტს.

* * *

**ლენინგრადი.** 21 ოქტომბერი. აქ გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი ადგილობრივ „ზენიტსა“ და კიევის „დინამოს“ შორის.

ანგარიშით 5:1 გაიმარჯვა „ზენიტმა“.

* * *

**სტალინო.** 21 ოქტომბერი. სტალინოს „შახტიორმა“ თავის მინდორზე მიიღო მოსკოვის „ლოკომოტივი“.

თამაში მოიგო „შახტიორმა“—1:0.

# საქართველოს თასზე

დასასრულს უახლოვდება საქართველოს თასის გათამაშება ფეხბურთში.

ლანჩხუთისა და მახარაძის „კოლმეურნის“ გუნდები ერთმანეთს შეხვდნენ ლანჩხუთში. საინტერესო მატჩი მოიგეს სტუმრებმა — 4:2.

თბილისის „ლოკომოტივმა“ აბაშაში დაამარცხა ადგილობრივი „კოლმეურნე“ ანგარიშით 6:3.

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა ჭიათურის „მეტალურგისა“ და თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდების შეხვედრა, რომელიც ჭიათურაში გაიმართა. „მეტალურგმა“ კარგად გამოიყენა ის მდგომარეობა, რომ ტრამვაელების გუნდში მეკარის ნაცვლად ერთ-ერთი თავდამსხმელი თამაშობდა, და მოიპოვა საპატიო გამარჯვება ანგარიშით 3:2. ძნელ გამარჯვებას მიაღწია ლაგოდეხში თბილისის თასის მფლობელმა ოფიცერთა სახლის I გუნდმა, რომელმაც ადგილობრივ „ბურევესტნიკს“ მოუგო ანგარიშით 3:2.

გორის „დინამომ“ სამტრედიაში დაამარცხა ადგილობრივი „ლოკომოტივი“ — 4:1, გეგეჭკორის „ბურევესტნიკმა“ ამავე ანგარიშით დამარცხება განიცადა ბათუმის „დინამოსაგან“. სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს თელავის სპორტსკოლისა და რუსთავის „მეტალურგის“ გუნდები. თელაველებმა მესამე მატჩში მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 3:1.

20 ოქტომბერს შედგა მორიგი მატჩები თასზე. თელავის სპორტსკოლის ფეხბურთელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს თბილისის „ლოკომოტივს“, მაგრამ მაინც წააგეს თამაში ანგარიშით 1:4. კვლავ წარმატებით ითამაშა ჭიათურის „მეტალურგმა“, რომელმაც დიდი ანგარიშით — 8:0 დაამარცხა თბილისის ოფიცერთა სახლის I გუნდი.

# არმიელთა რევანში

თბილისი, 21 ოქტომბერი. „დინამოს“ სტადიონი.

ოფიცერთა სახლი (თბილისი) — „ზენიტი“ (იჟევსკი) — 2:0 (0:0).

„ზენიტი“ — კორობეინიკოვი, პეტუხოვი, შიშაევი, მაკაროვი, ვიხროვი, სპირიდონოვი, გორდეევი, პეტროვი, მიტინი, სარიბეკიანი, მოკიენკო (გრაჩოვი).

ოფიცერთა სახლი — ტიტოვი, სიჭინავა, თორაძე, კვირკველია, ხუნდაძე, რამიშვილი, დალაქიანი, ნორაკიძე, მელაშვილი, კურტანიძე, მენაბდე.

მსაჯი ა. მატჩინი (მოსკოვი).

თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდს გათამაშების ცხრილში 30 თამაშიდან მხოლოდ 2 წაგება უწერია. ამ ორიდან ერთი დამარცხება თბილისელებს პირველ წრეში მიაყენა იჟევსკის „ზენიტმა“. ამიტომ რევანშის აღების სურვილი ყველასათვის გასაგები იყო. გარდა ამისა, თბილისელებს არც ერთი ქულის დაკარგვის უფლება არა აქვთ, ვინაიდან ის „მარაგი“, რომელიც მათ მთელი სეზონის განმავლობაში ჰქონდათ, ამოიწურა და ახლა მეორე ზონის ორივე ლიდერს — თბილისელებსა და კუიბიშეველებს ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვს.

„ზენიტს“ ეტყობოდა, ერთი ქულაც სავსებით უწყობდა ხელს, ამის გამო გუნდმა აქტიური თავდაცვის ტაქტიკას მიმართა, რომლის ძირითადი მიზანი იყო საკუთარი კარის უვნებელყოფა მოწინააღმდეგის იერიშებისაგან და წინ დატოვებული 3 თავდამსხმელის მოულოდნელი გარღვევები შორიდან მოწოდებული ბურთების გასატანად. სტუმრებმა თავისი ცენტრალური თავდამსხმელი მიტინი ღრმა ზურგში დაწიეს ცენტრალური მცველის მარცხნივ, ხოლო სარიბეკიანი თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში დამატებით ნახევარმცველს თამაშობდა ხუნდაძის აქტიური შეტევის საწინააღმდეგოდ. სტუმრების მოთამაშეთა ასეთი უჩვეულო განლაგება. გარდა საერთო დაცვის გამაგრებისა, მიმართული იყო თბილისელთა მეტად ძლიერი მარჯვენა ფრთის ნეიტრალიზებისათვის. მაგრამ, მიუხედავად ამ საგანგებო ზომებისა, არმიელებმა სწორედ მარჯვენა ფლანგიდან დაიწყეს თავისი იერიშები. ხუნდაძე სისტემატურად მონაწილეობდა თავდასხმის კომბინაციებში, ნორაკიძე იშვიათი სიზუსტით ანაწილებდა ბურთებს, ხოლო დალაქიანი ყოველ ხელსაყრელ მომენტს იყენებდა შეტევისათვის. შესანიშნავად ჩაატარა მთელი თამაში რამიშვილმა, რომელიც თანაბრად ძლიერია როგორც დაცვაში, ისე თავდასხმაში.

ისეთ „ყრუ დაცვაშიც“ კი, როგორიც ზენიტელებმა შექმნეს თავის ნახევარზე, არმიელთა თავდამსხმელები ხშირად გადიოდნენ კარის უშუალო სიახლოვეს, მაგრამ მელაშვილმა, დალაქიანმა და მენაბდემ ვერ გამოიყენეს რამდენიმე ისეთი მომენტი, რომლებიც ჩვეულებრივ გოლით მთავრდება ხოლმე. სტუმრებმა გაუძლეს მთელი ტაიმის განუწყვეტელ შტურმს და გუნდები შესვენებაზე წავიდნენ ისე, რომ ანგარიში არ გახსნილა.

მეორე ტაიმში „ზენიტმა“ თავისი მოთამაშეების განლაგება უცვლელი დატოვა. კიდევ მეტიც — გრაჩოვი, რომელმაც მოკიენკო შეცვალა, მცველთა რიგებში ჩადგა. ასეთ პირობებში ძნელი იყო შეტევის ნორმალურად წარმართვა, მაგრამ თბილისელებმა შეძლეს სწორი ვეგმის შენარჩუნება, შეტევის წარმართვა მინდვრის მთელ სიგანეზე. გარდა ამისა, სრული ძალით ამოქმედდა მარცხენა ფრთაც (მენაბდე-კურტანიძე). სტუმრებს სულ უფრო და უფრო უჭირდათ კარის დაცვა.

მე-17 წუთზე „ზენიტის“ კართან დანიშნულ იქნა საჯარიმო დარტყმა მარცხენა ფრთიდან. ნორაკიძემ და დალაქიანმა სწრაფად გადმოინაცვლეს აქეთ, გაითამაშეს ბურთი და დალაქიანმა მარჯვნივ მიაწოდა კურტანიძეს. ამ უკანასკნელმა ბურთი ცენტრში დაუბრუნა მელაშვილს და ანგარიში გაიხსნა — 1:0.

28-ე წუთზე ნორაკიძემ და კურტანიძემ ზუსტი კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც ძლიერი დარტყმით დაამთავრა ნორაკიძემ — 2:0.

თბილისელებმა ამ ანგარიშით აიღეს რევანში პირველ წრეში დამარცხებისათვის. გუნდმა კარგად ჩაატარა აღნიშნული მატჩი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე ვამოუყენებელ მეტად ხელსაყრელ მდგომარეობას მოწინააღმდეგის კართან.

აღსანიშნავია ა. მატჩინის კვალიფიციური, ზუსტი მსაჯობა.

**ე. ტაბუცაძე**



ს უ რ ა თ ზ ე: თბილისელთა მეკარე ტიტოვი იღებს მაღალ ბურთს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# „კოლომბის“ სტადიონზე

ფრანგული სპორტული გაზეთი „ეკიპი“ ერთ-ერთ თავის ბოლო ნომერში წერდა, რომ ბილეთების გაყიდვამ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის გუნდების 21 ოქტომბრის მატჩზე რეკორდს მიაღწია სხვა ყველა საერთაშორისო მატჩთან შედარებით. მართლაც, კარგა ხანია პარიზის უდიდესი სტადიონის „კოლომბის“ სალაროებზე არ ყოფილა გამოკიდული წარწერები: „ყველა ბილეთი გაყიდულია“. არა მარტო პარიზელები, სტადიონის კედლებს გარეთ დარჩნენ სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ტურისტებიც.

უცხოეთის სპორტულ წრეებში დიდ ინტერესს იწვევდა ის გარემოება, რომ საფრანგეთის გუნდის ცენტრალურ თავდამსხმელად არ ითამაშებდა განთქმული ფორვარდი კოპა, რომელიც ამას წინათ შეისყიდა ესპანეთის „რეალ-მადრიდმა“. მისი ადგილი ცენტრში დაიკავა სიზოვსკიმ (მან ჩინებულად ჩაატარა მატჩი ამ ადგილზე უნგრეთის ნაკრები გუნდის წინააღმდეგ). ახალი შემადგენლობით თამაშობდნენ საბჭოთა ფეხბურთელებიც, სადაც ვ. ივანოვი და ა. ილინი შეცვალეს ა. ისაევმა და ვ. რიჟკინმა.

მაყურებლები მოელოდნენ მწვავე, დაძაბულ ბრძოლას და ეს მოლოდინი სავსებით გამართლდა — თამაში მეტად საინტერესო გამოდგა. პირველ 45 წუთს შედეგი არ მოუცია — 0:0. დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, ფრანგმა ფეხბურთელებმა გახსნეს ანგარიში და მალე მეორე ბურთიც გაიტანეს — 2:0.

აღმოჩნდნენ რა დამარცხების საშიშროების წინაშე, საბჭოთა ფეხბურთელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს თამაში და მოუმატეს ტემპს. 65-ე წუთზე ისაევმა შეძლო ერთი ბურთის გაქვითვა — 1:2. დარჩენილ დროში საფრანგეთის გუნდის კართან შეიქმნა რამდენიმე მეტად სახიფათო მომენტი, მაგრამ მეკარე რემეტერმა და მცველებმა ქონკეს ხელმძღვანელობით შეძლეს ყველა იერიშის მოგერიება. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს ფრანგებმა.

### ცხრილი

მდგომარეობა 24 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კრ. სოვეტოვი“ კუიბიშევი | 30 | 22 | 5 | 3 | 74:16 | 49 |
| ოფ. სახლი თბილისი | 30 | 21 | 7 | 2 | 90:26 | 49 |
| „სპარტაკი“ ერევანი | 30 | 16 | 9 | 5 | 63:23 | 41 |
| „ზენიტი“ იჟევსკი | 30 | 12 | 12 | 6 | 49:40 | 36 |
| „ნეფტიანიკი“ ბაქო | 30 | 14 | 6 | 10 | 64:48 | 34 |
| „ნეფტიანიკი“ კრასნოდარი | 30 | 15 | 4 | 11 | 62:51 | 34 |
| „ტორპედო“ გორკი | 30 | 14 | 6 | 10 | 47:39 | 34 |
| ქ. ვორონეჟი | 30 | 11 | 11 | 8 | 33:32 | 33 |
| „ავანგარდი“ ჩელიაბინსკი | 30 | 12 | 7 | 11 | 35:32 | 31 |
| „ავანგარდი“ სვერდლოვსკი | 30 | 10 | 10 | 10 | 39:43 | 30 |
| ქ. მოლოტოვი | 30 | 12 | 6 | 12 | 28:31 | 30 |
| „ტორპედო“ სტალინგრადი | 30 | 11 | 7 | 12 | 41:44 | 29 |
| „პახტაკორი“ ტაშკენტი | 27 | 10 | 6 | 11 | 31:37 | 26 |
| „ტორპედო“ როსტოვი | 29 | 8 | 7 | 14 | 45:44 | 23 |
| „კაირატი“ ალმა-ატა | 31 | 7 | 9 | 15 | 32:49 | 23 |
| „სპარტაკი“ ფრუნზე | 31 | 4 | 8 | 19 | 23:69 | 16 |
| „კოლხოზჩი“ აშხაბადი | 30 | 4 | 5 | 21 | 24:71 | 13 |
| „კოლხოზჩი“ სტალინაბადი | 30 | 1 | 5 | 24 | 19:104 | 7 |

# ხვალ მონკავშირის სტენდზე

25 ოქტომბერს „მონკავშირის“ სტენდზე დაიწყება საქართველოს მონადირეთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა სასტენდო სროლაში. შეჯიბრება ტარდება სამ ჯგუფად.

მონაწილეთა შორის მაყურებელი იხილავს საერთაშორისო სპორტის ოსტატს, ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენს ზ. მაჩხანელს, სპორტის ოსტატებს საქართველოს არაერთგზის ჩემპიონებს ვ. ჯაბახიძეს, დ. ცაგარეიშვილს, შ. ჩახნაშვილს, ა. ხახანაშვილს, ი. სავანელიძეს და სხვებს. პერიფერიებიდან ჩამოსულ სპორტსმენთაგან შეჯიბრებაში მონაწილეობენ სპორტის ოსტატები გ. ნოდია და ა. ოვსეპიანი, ი. ცომაია (აფხაზმონკავშირი). სპორტის ოსტატი ბ. მეგრელიძე (მახარაძე) და სხვ. შეჯიბრების მთავარი მსაჯია საკავშირო კატეგორიის მსაჯი — ლ. ციციშვილი (თბილისი).





ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ჭაბუკთა რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობის მომენტები.

# ოსტატების საიმედო ცვლა

რესპუბლიკური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის რამდენჯერმე იყო სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში შეტანილი, მაგრამ მის მოწყობას სულ მუდამ ხელს უშლიდა რაღაც. ბოლოსდაბოლოს ეს საინტერესო ღონისძიება ჩატარდა და, უნდა ითქვას, მან თბილისის სპორტის მოყვარულთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

ჭაბუკთა პირად-გუნდურ შეჯიბრებაში მონაწილეობს 120 მოჭიდავე. სრული გუნდები ჩემპიონატში გამოიყვანა ჩვენი რესპუბლიკის 13 ქალაქმა და რაიონმა. მონაწილეთა ისედაც დიდი რაოდენობა შეიძლება გაზრდილიყო, გუნდები რომ გამოეგზავნათ ყვარელს, ხაშურს, სამტრედიას, ზესტაფონს. პირველობა ტარდება 7 საჯარიმო ქულის მიღების შემდეგ გამოვარდნის სისტემით.

მართალია, ძნელია მოსალოდნელ შედეგებზე წინასწარ იმსჯელო მხოლოდ სამი ტურით, მაგრამ სპორტსმენთა ცალკეულ წარმატებებზე ლაპარაკი უდავოდ შეიძლება.

უმჩატეს წონაში ჯერჯერობით ძნელია გამოარჩიო რომელიმე სპორტსმენი. შემადგენლობა აქ იმდენად თანაბარია, რომ ყველა მოჭიდავემ მოასწრო უკვე თითოჯერ დამარცხება.

მჩატე წონაში ყველაზე კარგი შანსი აქვს ახმეტელ ვ. მაისურაძეს. მის სწრაფ, მოქნილ და ლამაზ ჭიდაობას ალტაცებაში მოჰყავს მაყურებელი. მაისურაძემ უკვე მოიპოვა სამი გამარჯვება და სამივე სუფთად.

ქვემსუბუქ წონაში ყველა შეხვედრა სუფთად მოიგეს წითელწყაროს წარმომადგენელმა დ. ციხელაშვილმა და საგარეჯოელმა შ. დავითელაშვილმა. ასევე წარმატებით გამოდიან [illegible] წონაში ვ. [illegible] (გარეჯული) და ვ. [illegible]. [illegible] მოჭიდავეს ჯერჯერობით [illegible] შეხვედრა სუფთად.

ქვესაშუალო წონაში მაღალი ტექნიკით გამოირჩევა თბილისელი ვ. მუჩიაშვილი. იგი ყველა შეხვედრას აგრესიულ სტილში ატარებს და ცდილობს გაიმარჯვოს დროზე ადრე. პირველ სამ წრეში მუჩიაშვილმა თავისი მიზანი სავსებით განახორციელა. ანალოგიური მდგომარეობაა საშუალო წონაში, სადაც ჩემპიონატს სამი სუფთა მოგებით ლიდერობს საგარეჯოს წარმომადგენელი რ. ნინოშვილი.

ქვემძიმე წონის მოჭიდავეთა შორის წინ არიან ახმეტელი მ. კაჭმაზაშვილი და წითელწყაროელი ლ. ლუდუშაური. ამ სპორტსმენებმა თითო შეხვედრა მოიგეს სუფთად და თითო ქულებით. ანალოგიური მდგომარეობაა მძიმე წონაში, სადაც ჯერჯერობით გამოირჩევა საგარეჯოს გუნდის წევრი მ. ელერდაშვილი.

რით გამოირჩევა ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა? პირველ რიგში ახალგაზრდა მოჭიდავეთა მაღალი ოსტატობით და შეუნელებელი სურვილით — შეხვედრაში მიაღწიონ მხოლოდ სუფთა გამარჯვებას. მონაწილეთა უმრავლესობა გაურბის პასიურ ბრძოლას და ცდილობს თავიდანვე აღებული ტემპი, სიმძაფრე და აგრესიულობა ბოლომდე შეინარჩუნოს. ჭაბუკთა შეჯიბრების პირველმა შეხვედრებმა ცხადყვეს, რომ ქართული ჭიდაობის ცნობილ ოსტატებს ახალგაზრდების სახით საკმაოდ ძლიერი და საიმედო ცვლა ჰყავს.

ლ. ქვინტრაძე

## წერილი რედაქციას

# დავიწყოთ ხელბურთის თამაში

დიდი ხანი არაა, რაც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში (მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში) გაჩნდა ახალი სპორტული თამაში, რომელიც თავისი შინაარსით ძალზე წააგავს ფეხბურთს. ეს არის ხელბურთი. „ახალი“ მას, რასაკვირველია, პირობითად ეწოდება, რადგან ხელბურთს დიდი ხნის წინათ, დაახლოებით 30-იან წლებში, ისეთივე წარმატებით თამაშობდნენ თბილისში როგორც სხვა დანარჩენ ქალაქებში. მაგრამ წლების მანძილზე ეს მეტად საინტერესო თამაში დავიწყებას მიეცა და საჭირო გახდა მისი ხელახლა „აღმოჩენა“.

ხელბურთი ევროპაში უკვე კარგა ხანია, რაც სპორტის სხვა სახეობებთან ერთად აღდგა თავის უფლებებში. დღეს ხელბურთში იმართება მრავალი საერთაშორისო შეხვედრა, ევროპის პირველობა და მსოფლიო ჩემპიონატიც კი. წელს პირველად გაიმართა საბჭოთა კავშირის უძლიერესი გუნდების შეჯიბრება ჩემპიონის საპატიო სახელზე.

ხელბურთს, თამამად შეუძლია მოიკიდოს ფეხი საქართველოშიც და პირველ რიგში თბილისში. ჩვენს ახალგაზრდობას უყვარს სპორტის ისეთი სახეობები, რომლებიც სისწრაფესთან, კოლექტიურობასთან და სპორტულ აზარტთან არის დაკავშირებული. თუ ხელბურთის დანერგვას სერიოზულად მოჰკიდებენ ხელს რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები, საქართველოს სპორტსმენებს შეუძლიათ სერიოზულ წარმატებებს მიაღწიონ საკავშირო შეჯიბრებებზე.

ამიტომ რესპუბლიკაში საჭიროა ჩამოყალიბდეს ხელბურთის სექცია, რომელიც უხელმძღვანელებს სპორტის ამ სახეობის განვითარებას. საჭიროა გამოცდილი მწვრთნელის მოწვევა, თამაშის წესების გაცნობა და, რასაკვირველია, შეჯიბრებების მოწყობა.

ჩვენის აზრით, სასურველი იქნება, თუ ამ სასარგებლო საქმეს ითავებს სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკი“, რომელიც ხელბურთის ენთუზიასტთა ყველაზე დიდ რაოდენობას აერთიანებს.

გ. გაბისკირია, თ. ტოგონიძე, ა. აჩბა, ნ. გიორგობიანი, ლ. ქოქიაშვილი, ბ. ბერძენიშვილი, ნ. ჭიჭინაძე, თ. ჭელიძე.

# დავა ფიცის ტექსტზე

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ ე. ბრენდეჯმა კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე წინადადება შეიტანა შეეცვალათ ოლიმპიური ფიცის ტექსტი და წარადგინა ტექსტის თავისი ვარიანტი, რომლის მიხედვით ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეს უფლება ერთმეოდა თამაშების დამთავრების შემდეგ გადასულიყო პროფესიონალებში.

ოლიმპიური ფიცის ახალი ტექსტის შესახებ ე. ბრენდეჯის წინადადებამ აღშფოთება გამოიწვია მრავალი ქვეყნის სპორტულ წრეებში. ე. ბრენდეჯი შეეცადა რა აღშფოთებულთა დაწყნარებას, განაცხადა, რომ ფიცის ახალი ტექსტის მიღების შემდეგ ერთეული სპორტსმენები ველარ ისარგებლებენ ოლიმპიურ თამაშებში მოპოვებული სახელით, ვერ დადებენ პროფესიონალებისათვის დამახასიათებელ კონტრაქტებს.

ბრენდეჯის წინადადების წინააღმდეგ განსაკუთრებით გაილაშქრა ავსტრალიის პრესამ: „არ შეიძლება რომელიმე სპორტსმენი ვაიძულოთ სამუდამოდ დარჩეს მოყვარულად. გადაწყვეტილება არასწორია, — წერდნენ ისინი.

კანადის გუბერნატორი ლორდ ალექსანდერი ფიცის ახალი ტექსტის ფორმულირებას სასაცილოდ თვლის, რადგან უკანასკნელი 60 წლის განმავლობაში საფუძვლიანად შეიცვალა განსხვავება „მოყვარულისა“ და „პროფესიონალის“ ცნებას შორის. დღეისათვის მოყვარულთა წესდება, რომელიც მიღებული იყო 1894 წელს, დაძველდა, ამიტომ უფრო მართებული იქნებოდა ოლიმპიადაზე დაეშვათ საუკეთესო სპორტსმენები, პროფესიონალები იქნებოდნენ ისინი თუ მოყვარულები.

ოლიმპიური ფიცის ახალი ტექსტის წინააღმდეგ გაილაშქრა ავსტრიის ოლიმპიურმა კომიტეტმაც. მისი აზრით, ახალი ფიცი ერთი მხრივ არ შეესაბამება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ძირითად წესებს, მეორე მხრივ არც ერთი ქვეყნის ოლიმპიურ კომიტეტს არ შეუძლია იმის გარანტირება, რომ ოლიმპიადის ყველა მონაწილე მოყვარულად დარჩება.

მრავალრიცხოვან საპროტესტო წინადადებათა საფუძველზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება თამაშების მონაწილეებს არ მოთხოვოს სამუდამო მოყვარულობა.

# ვინ მოიპოვებს ჯილდოს?

თბილისში „დინამოს“ კორტებზე გრძელდება ჩოგბურთელთა საკავშირო ტურნირი ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ჯილდოზე.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ქალთა ფინალური შეჯიბრების მეორე ტური. ამ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ესტონელი უსტავი და თბილისელი რიაზანოვა. როგორც ცნობილია, ამ სპორტსმენთა პირველი შეხვედრა წინასწარ თამაშებში თბილისელის გამარჯვებით დამთავრდა. ამჯერად ესტონელმა რევანში აიღო — მოიპოვა გამარჯვება 2:1.

უფრო მეტი დაძაბულობით ხასიათდება ვაჟთა შეჯიბრება. ახალგაზრდა თბილისელი კაპანაძე თამაშობდა მოსკოველ მირზასთან. პირველი პარტია ადვილად მოიგო კაპანაძემ. მასვე ჰქონდა მეორე პარტიის მოგების რეალური შანსი, მაგრამ ინიციატივა გაუშვა ხელიდან და მოსკოველს საშუალება მიეცა პარტია თავის სასარგებლოდ დაემთავრებინა. ორი მომდევნო პარტიის მოგებით მირზამ მეტად საჭირო გამარჯვებას მიაღწია. ძლიერად ჩაატარა შეხვედრა მძინარიშვილმა კერესელიძის წინააღმდეგ და მოიპოვა გამარჯვება ოთხ პარტიაში.

ვაჟთა შორის ფინალისტების გამოვლინებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეხუთე ტურის შეხვედრებს. იმ შემთხვევაში, თუ ურაევსკი დაამარცხებდა მირზას, ხოლო კაპანაძე პალმს, გამარჯვებულები ფინალში გადიოდნენ. ხოლო კაპანაძის დამარცხების შემთხვევაში ფინალის მონაწილე ხდებოდა მირზა. კაპანაძემ იოლად მოიგო პირველი პარტია, მაგრამ შემდგომში მან სუსტად ჩაატარა შეხვედრა და ზედიზედ სამი პარტია წააგო. ურაევსკიმ დაამარცხა მირზა. უძლიერესთა ფინალურ ჯგუფში საბჭოთა კავშირის ჩემპიონთან ანდრეევთან ერთად გავიდა ახალგაზრდა მძინარიშვილი, რომელმაც ჯერ დაამარცხა კედარსი, ხოლო შემდეგ ჩაითვალა მოგება კოკაიასთან (გამოუცხადებლობის გამო).

ვაჟთა წყვილების თამაშში ი. ელერდაშვილმა და ურაევსკიმ დაამარცხეს ხიოპი და პარმასი, მირზაბოიცოვმა მოუგეს კაპანაძე-ჩხუნაშვილს, ხოლო ანდრეევ-ფრიდლანდმა დაამარცხეს კერესელიძე-კრიტოვი. ქალთა წყვილებში ფილიპოვა-ტამმა მოუგეს შეხვედრა მინაევა-რიაზანოვას.

ლ. ფალავანდიშვილი

# ოთხი ქვეჯგუფში

დამთავრდა თბილისის 1957 წლის საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალების გათამაშება, რომლებშიც მონაწილეობდა 48 პირველთანრიგოსანი. თვითეული ქვეჯგუფიდან ორ-ორ გამარჯვებულს უფლება ეძლეოდა მონაწილეობა მიეღო ფინალში, რომელიც მომავალი წლის დასაწყისში გაიმართება.

პირველ ჯგუფში ბრძოლა მიმდინარეობდა პირველთანრიგოსნებს ო. ელიოზიშვილს, გ. გამრეკელსა და გ. ეგიაშვილს შორის. მ. თხელიძე და ე. სიმონიანი, რომელთაც ასევე ჰქონდათ ფინალში გასვლის შანსები, დამარცხდნენ თავიანთ კონკურენტებთან და საგრძნობლად ჩამორჩნენ. ბოლო ტურში ელიოზიშვილმა და გამრეკელმა გაუსწრეს ეგიაშვილს და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. ო. ელიოზაშვილმა 10 შესაძლებლიდან 9 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა, გ. გამრეკელმა 8,5 ქულით — მეორე.

განსაკუთრებით დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა მეორე ქვეჯგუფში. აქ დ. ჯანოევმა მნიშვნელოვნად გაუსწრო მეტოქეებს. ბერაძესთან დამარცხების შემდეგ ჯანოევს დაეწია კაჭარავა, რომელმაც მთელი ტურნირი ძლიერად ჩაატარა. ჯანოევმა და კაჭარავამ მოაგროვეს 7-7 ქულა 9 შესაძლებლიდან და I და II ადგილები გაიყვეს. III და IV ადგილები 6,5 ქულით გაიყვეს ბერაძემ და თ. კალატოზიშვილმა.

მესამე ქვეჯგუფში შესანიშნავად ჩაატარა ტურნირის დასაწყისი თ. ლომაიამ, რომელმაც მოიგო ხუთი შეხვედრა. მას კვალდაკვალ მისდევდა ჰ. არნშტეინი, რომელიც თამაშობდა დიდი მონდომებით. ფინალში გასვლის კარგი შანსები ჰქონდა აგრეთვე ო. ალიხანოვს, მაგრამ იგი არათანაბრად ატარებდა შეხვედრებს. ფინიშზე არნშტეინმა რამდენიმე შეხვედრა ყაიმით დაამთავრა, ხოლო ლომაიამ ბოლო ტურში პირველი დამარცხება განიცადა ალიხანოვთან. საბოლოოდ I და II ადგილები გაიყვეს ლომაიამ და არნშტეინმა, რომლებმაც 8,5-8,5 ქულა მოაგროვეს 11 შესაძლებლიდან. ალიხანოვი მათ ნახევარი ქულით ჩამორჩა.

მეოთხე ქვეჯგუფში ე. გაფრინდაშვილს და ე. გერსამიას შეუპოვარი მეტოქეობა გაუწია ნორჩმა მოჭადრაკემ ვ. იზვოზჩიკოვმა. ამ ჯგუფში მონაწილეთა დიდი ჯგუფი აცხადებდა პირველ ორ ადგილზე პრეტენზიას. ე. გაფრინდაშვილმა და ე. გერსამიამ ფინალში კარგი თამაშის შემდეგ I და II ადგილები დაიკავეს.

თბილისის პირველობის ფინალში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან ოსტატები და ოსტატობის კანდიდატები. ეს ტურნირი ამავე დროს თბილისელთათვის საქართველოს პირველობისათვის შესარჩევი შეჯიბრებაც იქნება.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ. მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი. ლენინის ქ. № 14. უე 07153

ეროვნული ბიბლიოთეკა